თანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 26 ოქტომბერი, 2021 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის, ასოც. პროფესორის **მერაბ ხალვაშის** მიერ და მეორე მხრივ **შპს „რემონტი +“** ს/კ **445546552**, შემდეგში **,,რემონტი +“)**, წარმოდგენილი დირექტორის **თორნიკე ნატარიძის** მიერ (შემდეგში ,,მხარეები“), თანხმდებიან პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება–მოვალეობები:

1. **შპს „რემონტი +“** უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,საფინანსო სერვისები“** (პროგრამა - წინამდებარე მემორანდუმის **დანართი 1)** პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის გავლას, მათი პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით:

   ა) მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით შეთანხმებული პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის ფარგლებში (5 პროფესიული სტუდენტი).

   გ) წინამდებარე მემორანდუმში აღნიშნული პროგრამის **მოდულებში** (წინამდებარე მემორანდუმის დანართი 2, დანართი 3,);

2. **მხარეები:**

   ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);

   ბ) უზრუნველყოფენ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ნორმებს, როგორც უნივერსიტეტის, ასევე **შპს „რემონტი +“-ის** ბაზაზე;

   გ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;

   დ) მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ასახავენ პროფესიულ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ობიექტზე მისაღწევი სწავლის შედეგების და დადასტურებების უზრუნველსაყოფად საჭირო კოორდინაციის საკითხებს.

3. წინამდებარე მემორანდუმის დანართები შეადგენენ ამ მემორანდუმისა და შემდეგში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები:

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

„ბსუ“	შპს „რემონტი +“
(მისამართი:	მისამართი: ქ. ბათუმის, პუშკინის ქ. #49
ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35/რუსთაველის N32)	დირექტორი:
მერაბ ხალვაში	თორნიკე ნატარიძე
მოადგილე, ასოცირებული პროფესორი	